

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I ნაწილი №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.“.

2. 50-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი, მოთავსდება არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.“.

3. 74-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასამართლოს, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია სასჯელისაგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.“;

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სასამართლოს, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალები –65 წლიდან, მამაკაცები 70 წლიდან), თუ მისჯილი არა აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდელი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.“.

5. 342¹-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 342¹. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების

აღკვეთის დაწესებულებაში სამსახურის
დადგენილი წესის დარღვევა

1. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ შესაბამის დაწესებულებაში დადგენილი წესის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა ანდა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საქმიანობის დეზორგანიზაცია, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.”.

7. 378-380-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 378. წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების

აღკვეთის დაწესებულების საქმიანობისათვის

ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის

დეზორგანიზაცია

1. წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა, ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულის მიმართ ძალადობა ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში მსჯავრდებულისათვის ხელის შეშლის მიზნით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

3. წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა ანდა ამავე მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

4. იგივე ქმედება:

ა) რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის;

ბ) ჩადენილი არაერთგზის;

გ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

5. ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტი წლამდე.

მუხლი 378¹. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების

აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის

იზოლატორში და კაუპტვახტში მოთავსებული

პირებისათვის აკრძალული
საგნების გადაცემა

1. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორში და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნების გადაცემა, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 378-ე – 379-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;

გ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;

დ) ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის გადაცემით;

ე) ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების გადაცემით;

ვ) იარაღის გადაცემით;

ზ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

შენიშვნა: აკრძალულ საგნად ჩაითვლება ყველა საგანი (ნივთი), გარდა იმ საგნებისა (ნივთებისა), რომელიც დასაშვებია თან იქონიოს წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორში და ჰაუპტვახტში მოთავსებულმა პირმა.

მუხლი 378². წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორში და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნების შენახვა, ტარება, სარგებლობა

1. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორში და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნების შენახვა, ტარება, სარგებლობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი არაერთგზის;

ბ) ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 378-ე–379-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;

გ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

მუხლი 379. დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილიდან ან ბადრაგირებისას გაქცევა

1. გაქცევა დაკავების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილიდან ან ბადრაგირებისას, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 - ა) ჯგუფურად;
 - ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

მუხლი 380. თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება

იმ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისათვის თავის არიდება, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან მოკლევადიანი გასვლის ნებართვა აქვს, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი